საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/3101
04/07/2022

3101-21-2-202207041502

შპს „აისს“
მის: ქ. თბილისი, გლდანი-ნაძალადევის რაიონი,
დიდუბის დასახლების ქ. #13, შენობა N1
ელ. ფოსტა: tmatitashvili@ais-georgia.ge;
ntevdorashvili@ais-georgia.ge

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №1570 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, მდ. ფარავანსა და მდ. კორხზე 9.1 მგვტ დადგმული სიმძლავრის „ახალქალაქი ჰესის“ (ახალქალაქი 1 და ახალქალაქი 2), 35 კვ. ქვესადგურის და ელექტროგადამცემი ხაზის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და მოცემული უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი არ არის ნაპირსამაგრი ნაგებობების ტექნიკური მახასიათებლების შესახებ ინფორმაცია, მათ შორის ნაპირსამგრი ნაგებობისთვის საჭირო ჰიდროლოგიური მონაცემები, შესაბამისი გაანგარიშებით რაც საჭიროებს დაზუსტებას. ამასთან, წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ მოიცავს ინფორმაციას ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობის შედეგად გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასების შესახებ;
- სკრინინგის განცხადებაში არ არის აღწერილი ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოები, დასაზუსტებელია სამშენებლო სამუშაოების ხანგრძლივობა და გამოსაყენებელი ტექნიკა (რაოდენობებისა და ტიპების მითითებით). დოკუმენტში ასევე არ არის მოცემული სამშენებლო სამუშაოებისათვის საჭირო მასალის ტრანსპორტირებისა და დროებით განთავსების საკითხები, რაც საჭიროებს დაზუსტებას/შეფასებას;
- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იყოს №12 და №16 საყრდენების განთავსების ადგილებზე საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების შესახებ ინფორმაცია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო